

გლობალური პანდემიის ზეგავლენა ქალთა შრომის უფლებებზე COVID-  
19-ის მაგალითზე

გვანცა თედიაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ  
ფაკულტეტზე საჯარო სამართლისა და პოლიტიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

საჯარო სამართალი და პოლიტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ გურჩიანი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

## განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გვანცა თედიაშვილი

05.07.2021 წ.

## აბსტრაქტი

ქალების შრომის უფლებებმა განვითარების დიდი გზა განვლო ბოლო 100 წლის განმავლობაში. მათ თავდაუზოგავ ბრძოლას უფლებების მოსაპოვებლად და გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად, საბოლოოდ, თანასწორუფლებიან მსოფლიომდე მივყავართ. მიუხედავად მიღწეული შედეგებისა, ქალსა და მამაკაცს შორის შრომით ურთიერთობაში სრული თანასწორობა ვერ იქნა მიღწეული, მაგალითად ანაზღაურებადი ან არაანაზღაურებადი სამუშაოს კუთხით.

სიტუაცია განსაკუთრებით გაამწვავა 2020 წელს გლობალური პანდემიის, კოვიდ-19-ის აფეთქებამ, რომელმაც ისედაც არათანაბარი სამართლებრივი მდგომარეობა უფრო გაართულა. კვლევის მიზანი სწორედ ამ გავლენის შეფასება და შედარებაა კოვიდ-19-ის გავრცელებამდე არსებულ ვითარებასთან, თუ რა პრობლემა ან პერსპექტივა გაგვიჩინა პანდემიამ, რა გამოწვევების წინაშე დადგა მსოფლიო, რატომ იმოქმედა ეპიდვითარებამ უფრო მეტად ქალების შრომის უფლებებზე და სად შეიძლება ვეძებოთ ამ ყველაფრის მიზეზები და გამოსავალი.

კვლევა განხორციელდა საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების ანგარიშების, შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურისა და უცხო ქვეყნების პრაქტიკის საფუძველზე, რომლის შედეგადაც დადგინდა ხარვეზები საქართველოში არსებულ მდგომარეობასა და საერთაშორისო მოთხოვნებს შორის. ამ რეალობის შესაცვლელად კი, აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან მობილიზება, არსებული რეკომენდაციების გათვალისწინება და მოსახლეობის ინფორმირებულებაზე ზრუნვა, როგორც საკუთარ, ისე სხვის უფლებებთან მიმართებით.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** ქალების შრომის უფლებები, პანდემიის გავლენა ქალებზე, გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია, არსებული სტერეოტიპები, ქალების როლი შრომით ურთიერთობაში

## Abstract

Women's labor rights have come a long way in development over the last 100 years. Their selfless struggle for rights and the elimination of gender discrimination ultimately leads to an equal world. Despite the results achieved, full equality between women and men in labor relations could not be achieved, for example in terms of paid or unpaid work.

The situation was especially aggravated by the outbreak of the global pandemic, Covid-19, in 2020, which further complicated the already unequal legal situation. The purpose of the study is to assess and compare this impact with the situation before the spread of Covid-19, what problem or perspective the pandemic presented to us, what challenges the world faced, why the epidemic situation affected more women's labor rights rather than men's and where we can look for causes and solutions.

The research was conducted on the basis of reports of international and local organizations, relevant scientific literature and foreign practice, which revealed gaps between the situation in Georgia and international requirements. To change this reality, it is necessary for our country to mobilize, take into account the existing recommendations and take care of informing the population about their own rights and the rights of others.

**Keywords:** Women's labor rights, Impact of pandemic on women, Gender discrimination, Existing stereotypes, Role of women in labor relations